დანართი

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. პროგრამის სახელწოდება: თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დავადებულთა ოჯახების ფინანსური მხარდაჭერის 2024 წლის პროგრამა.

2. პროგრამის დაწყების და დამთავრების თარიღი: 1 იანვარი 2024 წელი – 31 დეკემბერი 2024 წელი.

3. პროგრამის ბიუჯეტი: 30 000 (ოცდაათი ათასი) ლარი.

4. პროგრამის დაფინანსების წყარო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტი.

5. პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციართა სოციალური დახმარების თანხა: 18 წლამდე დიაბეტით დავადებულ ბენეფიციარს თვეში - 150 (ასორმოცდაათი) ლარი, ფენილკეტონურიით დაავადებული ბენეფიციარებისათვის თვეში 300 (სამასი) ლარი.

6.პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო: თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერია.

მუხლი 2. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანს წარმოადგენს დიაბეტით დაავადებულ ბავშვთა ფინანსური მხარდაჭერა და ფენილკეტონურიით დაავადებულთა საკვები პროდუქტებით უზრუნველყოფის ხელშეწყობა.

მუხლი 3. პროგრამის მოსალოდნელი შედეგები

პროგრამის განხორციელება დაავადებულთა სასიცოცხლო მნიშვნელობიდან გამომდინარე ხელს შეუწყობს ფენილკეტონურიით დაავადებულთა სპეციალური კვების პროდუქტებით უზრუნველყოფას და 18 წლამდე დიაბეტით დავადებულ ბავშვთა ჯანმრთელობის ხელშეწყობას.

მუხლი 4. პროგრამით მოსარგებლე პირთა კატეგორია

თერჯოლის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ფენილკეტონურიით და 18 წლამდე დიაბეტით დაავადებული ბავშვები.

მუხლი 5. დაფინანსების მიღებისათვის საჭირო დოკუმენტაცია და მისი წარდგენის წესი

პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარები თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარადგენენ :

ა) განცხადება ერთ-ერთი მშობლის სახელით;

ბ) ცნობა შესაბამისი სამედიცინო დაწესებულებიდან ფორმა №100/ა ან ცნობა შ.შ.მ პირთა შესახებ;

გ) განმცხადებლის (მშობლის, მეურვის) საბანკო ანგარიში ;

დ) დაბადების მოწმობა, ორივე მშობლის პირადობის მოწმობის ასლი, ან არასრულწლოვანის რეგისტრაციის ბარათი;
ე) სასამართლო გადაწყვეტილება მეურვის არსებობის შემთხვევაში;
ვ) სამკურნალო კვების შემთხვევაში, შესაბამისი დაწესებულებიდან კვების შესახებ ანგარიშფაქტურა.

მუხლი 6. დაფინანსების წესი

1. თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიაში წარდგენილ განცხადებას განიხილავს თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა სამსახური და თანდართული დოკუმენტაციის პროგრამასთან შესაბამისობის დადგენის შემდეგ ამზადებს მერის ბრძანების პროექტს.
2.მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების გამოცემის შემდეგ თანხის გაცემას უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახური მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

თერჯოლის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარე გიორგი ბარათაშვილი